- ბ) სინუსის სრული ობლიტერაცია სიმსივნით;
- გ) სინუსის ბეწოლა ძვლოვანი ფრაგმენტით;
- *დ) სინუსის ერთი კედლის დაზიანება;

1318. ქალას ნაღმის ნამსხვრევით მოგეხილობების ქირურგიული მკურნალობა მძიმე მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებში:

- ა) არ არის ნაჩვენები;
- ბ) ნაჩვენებია ყველა შემთხვევაში;
- გ) ნაჩვენებია მოგეხილი ძვლის ფრაგმენტების და ნაღმის ნამსხვრევების ფუნქციურად მნიშვნელოვან ზონაში არსებობის შემთხვევაში;
- *დ) ნაჩვენებია თავის გვირგვინზე ბეწოლის სინდრომის გაძლიერების შემთხვევაში;

1319. ნერვზე პირველადი ნაკერის დალების ჩვენებაა:

- ა) მხრის ძვლის ღია მოგეხილობისას სხივის ნერვის გამგარობის მოშლით;
- ბ) ცეცხლნასროლი ჭრილობა;
- *გ) სუფთა ნაკვეთი ჭრილობა გამგარობის მოშლის ნიშნებით;
- დ) ჭუჭყიანი ნაკვეთი ჭრილობა;

1320. ნაზალური ლიქვორეის ქირურგიული მკურნალობა აუცილებელია:

- *ა) ყველა სწორია;
- ბ) განმეორებითი მენინგიტების რეციდივის შემთხვევაში;
- გ) კონსერვატიული თერაპიის არაეფექტურობის შემდეგ;
- დ) ნაზალური ლიქვორეის რეციდივის შემთხვევაში;

1321. ნაზალური ლიქვორეის დროს ნაჩვენებია ოპერაციის შემდეგი მეთოდი:

- ა) აგრიოვენტრიკულარული დრენაჟი;
- ბ) ლუმბოპერიტონიალური დრენაჟი;
- გ) ენდონაზალური მეთოდი;
- *დ) ინტრაკრანიალური მეთოდი;

1322. ყურიდან ლიქვორეისას გამოიყენება ოპრაციის შემდეგი მეთოდი:

- ა) აგრიოვენტრიკულარული დრენაჟი;
- ბ) ლუმბოპერიტონიალური დრენაჟი;
- გ) ყურის ოპერაციები;
- *დ) ინტრაკრანიალური მეთოდი;

1323. ქალას ცეცხლნასროლი შემავალი ჭრილობების ქირურგიული დამუშავება წარმოებს:

- *ა) ყველა პასუხი სწორია;
- ბ) რეანიმაციული ღონისძიებების შემდეგ;
- გ) შოკის საწინააღმდეგო თერაპიის შემდეგ;
- დ) როგორც სასწრაფო ჩარევას;

1324. ქალას ცეცხლნასროლი ჭრილობების ქირურგიული დამუშავებისთავისებურებებია:

- *ა) ყველა სწორია;
- ბ) სისხლდენის შეჩერება ჭრილობის ასეპტიური ხსნარებით დამუშავება;
- გ) ჭრილობის დამუშავება ასეპტიური ხსნარებით;
- დ) ჭრილობის ნეკროზული კიდეების ამოკვეთა;

1325. ცეცხლნასროლი შემავალი ჭრილობებისას ქალას გრეპანაციისთავისებურებებია:

- ა) ჭრილობის დამუშავება ასეპტიური ხსნარების გარეშე;
- *ბ) საგრეპანაციო ხერხის დალება ძვლოვანი ლეფექტის გვერდით, და მის ირგვლივ ძვლის რეზექცია;
- გ) ნამსხვრევების ამოღება;
- დ) ჭრილობის კიდეების ამოკვეთა;

1326. პარავერტებრალურს მიეკუთვნება:

- ა) ცეცხლსასროლი ჭრილობა წვეტიანი მორჩის მოგებილობით;
- ბ) ღანით მიყენებული შემავალი ჭრილობა მალთაშორის დისკში;
- *გ) ტყვიით მიყენებული ჭრილობა III ნეკნის ყელის მოგებილობით;
- დ) ღანით მიყენებული ჭრილობა ყვითელი იოგის დაზიანებით;

1327. თავის გვინის დაჟეილობის მეზენცეფალო-ბულბალურისიმპტომატიკა ვლინდება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილით;
- ბ) ღეროს პირველადი სიმპტომატიკით;
- გ) ჰემოდინამიკის დარღვევით;
- დ) სუნთქვის რითმის დარღვევით;

1328. პარაბაზალური დაზიანებისას რეზექციული ტრეპანაციის ჩვენებებია:

- ა) გვინზე კომპრესიის ნიშნების უქონლობა;
- *ბ) გვინზე მზარდი გეწოლის ნიშნები;
- გ) ქალას ფუძის მოგებილობა;
- დ) ქალას ძვლების ხაზოვანი მოგებილობა;

1329. წინა ფოსოს მოგებილობისას დიენცეფალური სინდრომი გამოიხატება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილით;
- ბ) წყალ-მარილოვანი ცვლის მოშლით;
- გ) ძილის ფორმულის დარღვევით;
- დ) ჰიპერთერმიით;

1330. ქალას ძვლების ქირურგიული დამუშავების მეთოდებს მიეკუთვნება:

- ა) გამპონალა წყალბადის ემბანგით;
- ბ) თერმოკოაგულაცია;
- გ) დამუშავება ანტიბიოტიკებით;
- *დ) რეზექცია, და დამუშავება ცვილით;

1331. მაგარი გარსის ქირურგიული დამუშავების მეთოდებს მიეკუთვნება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია;
- ბ) გაკერვა;
- გ) გამპონალა წყალბადის ემბანგით;
- დ) თერმოკოაგულაცია კლიფსების დაღება;

1332. გვინის ქსოვილის ქირურგიული დამუშავების მეთოდებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) კლიფსების დაღება;
- გ) თერმოკოაგულაცია;
- დ) დეგრიტის ამოწოვა;

1333. ქალა-გვინის ნერვების დაზიანების ქირურგიული დამუშავების მეთოდს მიეკუთვნება:

- ა) ყველა სწორია;
- ბ) დამუშავების გარეშე;
- გ) ნერვის ნაკერი;
- *დ) სისხლენის ზონის კოაგულაცია;

1334. ქალას ჰერმეტიკულობის აღდგენსათვის წიაღებზე ოპერაციებისას წარმოებს :

- ა) ლორწოვანის გაკერვით;
- ბ) კუნთების გამპონალით;
- *გ) ლორწოს ამოწოვით, ცვილით და ლევომიციტინით დამუშავებით;
- დ) გამპონალა ცვილით;

1335. წინა ფოსოს მოგებილობის გარეგნული გამოვლინებაა:

- ა) არცერთი;
- ბ) ორივე;
- გ) სისხლნაქენთები ყურის ნიჟარაზე;
- *დ) სისხლჩაქცევები ორივე თვალებზე;

1336. თავის გვინის მძიმე ხარისხის დაჟეილობის დროს მეზენცეფალური სიმპტომატიკა ვლინდება:

- ა) ანიზორეფლექსიით;
- ბ) მგრძნობელობის მოშლით;
- გ) ჰორიზონტალური ნისგაგმით;

*დ) ჰერციგ-მაჟანდის სიმკომით;

1337. თავის გვინის დაქეილობისას ჰემისფეროთა კეროვან სიმკომებს მიეკუთვნება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) მგრძობელობის მოშლა;
- გ) აფაზიური მოშლილობები;
- დ) პარეზი ღამბლები;

1338. პარაბაზლური ღამიანებისას ანგიბიოტიკები შეიყვანება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი მეთოდის გამოყენებით;
- ბ) ინტრავენურად;
- გ) ენდოლუმბალურად;
- *დ) კუნთებში;

1339. ეპიდურული ჰემატომების შემთხვევაში ძვალ-პლასტიური ტრეპანაციის ჩვენება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ღეროს უხეში სიმკომიკა;
- გ) გვინის მზარდი კომპრესია;
- *დ) ქვემწვავე ჰემატომების შემთხვევაში, ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის გარეშე;

1340. ეპიდურული ჰემატომების შემთხვევაში რეზექციული ტრეპანაცია ნაჩვენებია:

- *ა) ყველა პასუხი სწორია;
- ბ) ღეროს უხეში სიმკომიკის შემთხვევაში;
- გ) გვინის მზარდი კომპრესიისას;
- დ) მწვავე მიმდინარეობისას;

1341. თავის გვინის შერყევის დროს ასთენიურ სიმკომებს მიეკუთვნება:

- ა) ნისტაგმი;
- ბ) თავბრუსხვევა;
- *გ) მომატებული დაღლილობა;
- დ) თავის ტკივილი;

1342. ეპიდურული ჰემატომების დროს მაგარი გარსის გაკვეთის ჩვენებებია:

- ა) ეჭვი სუბარაქნოიდულ სისხლჩაქცევაზე;
- *ბ) ეჭვი სუბდურულ ჰემატომაზე;
- გ) ეჭვი გვინის დაქეილობაზე;
- დ) ღეროს სიმკომიკის შემთხვევაში;

1343. ეპიდურული ჰემატომისთვის ღამახასიათებელია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ცნობიერების დაკარგვა არ ახასიათებს;
- გ) ცნობიერების დაკარგვა ტრამვიდან რამოლენიძე ხნის შემდეგ;
- *დ) ცნობიერების დაკარგვა, ნათელი პერიოდი, ცნობიერების მეორადი დაკარგვა;

1344. სუბდურული ჰემატომების ევაკუაციისას გამოიყენება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი მეთოდი;
- ბ) ძვალ-პლასტიური ტრეპანაცია საფეთქლის ძვლის ქიცვის რეზექციით;
- გ) ძვალ-პლასტიური ტრეპანაცია;
- დ) ტრეფინაცია;

1345. ხერხემლისა და ზურგის გვინის შემავალ ჭრილობებს მიეკუთვნება:

- ა) ნაღმის ნამსხრევებით მიყენებული ხერხემლის მოგენილობა ლიქტორიით;
- ბ) ხერხემლის ცეცხლნასროლი ჭრილობა ზურგის გვინის გამტარებლობის სრული დარღვევით;
- გ) დანით მიყენებული ჭრილობა ზურგის გვინის მაგარი გარსის ღამიანებით;
- *დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

1346. ქრონიკული ჰემატომების ევაკუაციის თავისებურებებს მიეკუთვნება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ჰემატომის ასპირაცია და კაფსულის გოტალური მოშორება;
- გ) ჰემატომის ასპირაცია;
- *დ) ჰემატომის ასპირაცია, და დრენირება ერთი სატრეპანაციო ხვრელიდან;

1347. ქალა ფუძის შუა ფოსოლან ჰემატომის ევაკუაციის თავისებურებებია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;

- ბ) პარაბაზალურად ხერელის დაღება;
- გ) ჩვეულებრივი გრეპანაცია თხემ-საფეთქლის მიდამოში;
- *დ) გრეპანაცია საფეთქლის ძვლის ქიცვის რეზექციით, ქალას ფუძის გაღასავლელამდე;

1348. ერთი საგრეპანაციო ხერელიდან ჰემატომის ევაკუაციის ჩვენებაა:

- ა) ყველა პასუხი სწორია;
- ბ) მწვავე მიმდინარეობა;
- *გ) ქრონიკული მიმდინარეობა;
- დ) ქვემწვავე მიმდინარეობა;

1349. ორმხრივი სუბდურული ჰემატომების ევაკუაციის თავისებურებებია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია;
- *ბ) მაგარი გარსის გაკვეთა წარმოებს მეორე მხარეზე გარსის გაშიშვლების შემდეგ;
- გ) ჰემატომების ასპირაცია აუცილებლად ორივე მხარეს ერთდროულად;
- დ) ჰემატომების ასპირაცია ჯერ ერთ შემდგომ მეორე მხარეს;

1350. სუბდურული ჰემატომების ევაკუაციის შემდეგ ჰემოსტაზი მიიღწევა:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი მეთოდით;
- ბ) კლიპირებით;
- გ) თერმოკოაგულაციით;
- დ) წყალბადის შეკვრით და ცვილით;

1351. სუბდურული ჰემატომების ევაკუაცია ლეკომპრესიული გრეპანაციის გამოყენებით ნაჩვენებია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი შემთხვევაში;
- *ბ) თავის ტვინის შეშუპების კლინიკის შემთხვევაში;
- გ) ქვემწვავე მიმდინარეობისას;
- დ) ქრონიკული მიმდინარეობისას;

1352. ყურიდან გრაგმული ლიქვორეისას ვაკვირებით სმენის შემდეგნაირ დარღვევებს:

- ა) ყველა ჩამოთვლილს;
- ბ) სმენით ჰალუცინაციებს;
- გ) სმენის ორმხრივ დაქვეითებას;
- *დ) სმენის დაქვეითებას, ან სიყრუეს გრაგმის მხარეზე;

1353. წელის შემსხვილების დაზიანების სიმპტომოკომპლექსში შედის:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ქვედა კიდურებზე ანესთეზია;
- გ) მცირე მენჯის ორგანოების მოშლილობები;
- დ) ქვედა ცენტრალური პარაპლეგია;

1354. სისხლძარღვთა მამოძრავებელი მოშლილობები პერიფერიული ნერვების გრამების დროს გამოვლინდება დაზიანებიდან 2-3 კვირის მანძილზე:

- ა) ოფლის გამოყოფით დაზიანებული ნერვის ზონაში;
- *ბ) გაწითლებით ნერვის საინერვაციო ზონაში;
- გ) გაცივებით ნერვის საინერვაციო ზონაში;
- დ) ცვლილებები არ აღინიშნება;

1355. ინტრავენტრიკულური ჰემატომისას ლეკომპრესიული გრეპანაციის ჩვენებებია:

- *ა) ტვინის გამობაგული შეშუპების კლინიკა;
- ბ) დროს პირველადი დაზიანების სიმპტომატიკა;
- გ) ყოველთვის წარმოებს;
- დ) ჩვენებები არ არსებობს;

1356. ლეკომპრესიული გრეპანაცია კონტრუბური კერების არსებობისას ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნება:

- ა) ჰიპერტენზიული სინდრომი;
- *ბ) აქტიური კონსერვატიული ღონისძიებების ფონზე ტვინის მზარდი შეშუპების განვითარება;
- გ) უხეში მენინგელური სიმპტომატიკა;
- დ) კეროვანი სიმპტომატიკა;

1357. ტვინის ნივთიერების რეზექცია კონტრუბური კერის მიდამოში ნაჩვენებია:

- *ა) ტვინის ნივთიერების ნეკროზული ცვლილებების შემთხვევაში;
- ბ) არტერიული სპაზმის შემთხვევაში;
- გ) ტვინის ნივთიერების ჰიპერემიის შემთხვევაში;
- დ) ტვინის შეშუპების შემთხვევაში;

1358. ლეკომპრესიული ტრეპანაცია კონკრეტიული კერების შემთხვევებში ნაჩვენებია:

- ა) ჰიპერტენზიული სინდრომის დროს;
- *ბ) თერაპიის დროს ტვინის მწვავე გაფუჭება-შეშუპების შემთხვევაში;
- გ) ტვინის კომპრესიის სინდრომის არსებობისას;
- დ) ლეროს სიმპტომატიკის შემთხვევაში

1359. გრავმული ჰემატომიელია უფრო ხშირად აღმოცენდება:

- ა) წელის და გულ-მკერდის მიდამოში;
- ბ) გულ-მკერდის მიდამოში;
- *გ) კისრის, და წელის შემსხვილებაში;
- დ) კისრის ღონებზე და გულ-მკერდის მიდამოში;

1360. ინტრაცერებრული ჰემატომების შემთხვევებში ლეკომპრესიული ტრეპანაცია ნაჩვენებია:

- ა) ყოველთვის წარმოებს ძვალპლასტიური ტრეპანაცია;
- *ბ) ტვინის გამონახული შეშუპებისას;
- გ) გამონახული კეროვანი სიმპტომატიკის შემთხვევაში;
- დ) ყველა შემთხვევაში;

1361. ინტრავენტრიკულური ჰემატომის ევაკუაცია შესაძლებელია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი მეთოდით;
- ბ) პარაკუტოვანი სისტემის დრენირებით;
- გ) სტერეოტაქსიური მეთოდით;
- დ) რემეციული ან ძვალპლასტიური ტრეპანაციით;

1362. ინტრავენტრიკულური ჰემატომის ევაკუაციის ოპტიმალური მეთოდია:

- *ა) პარაკუტოვანი სისტემის დრენაჟი.
- ბ) ძვალპლასტიური ტრეპანაცია;
- გ) სტერეოტაქსიური მეთოდი;
- დ) რემეციული ტრეპანაცია;

1363. ტვინის მაგარი გარსის პლასტიკისათვის შეიძლება გამოიყენოთ:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი.
- ბ) ბარძაყის განიერი ფრაქცია;
- გ) ჰომოტრანსპლანტატი;
- დ) მაგარი გარსის განშრევა;

1364. ეპიდურული აბსცესის ქირურგიული მკურნალობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია;
- ბ) ძვალპლასტიური ტრეპანაცია ჩირქის ამოღება სუბარაქნოიდული სივრცის რევიზია დრენაჟი;
- *გ) რემეციული ტრეპანაცია, ჩირქის ამოღება, დრენაჟი;
- დ) სატრეპანაციო ხვრელი დრენაჟი;

1365. გრავმული სუბარაქნოიდული კისტების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებაა:

- ა) ზოგადცერებრული სიმპტომატიკა;
- *ბ) ტვინზე ზეწოლის სინდრომის გაძლიერება;
- გ) მენინგეალური სიმპტომატიკა;
- დ) კეროვანი სიმპტომატიკა;

1366. გრავმული სუბარაქნოიდული კისტების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) რემეციული ტრეპანაცია;
- გ) ძვალ-პლასტიური ტრეპანაცია;
- დ) სატრეპანაციო ხვრელი;

1367. გრავმული სუბარაქნოიდული კისტების დროს გამოიყენება ოპერაციული ჩარევის შემდეგი ტიპები:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) კისტის დაცლა ტვინ-გარსოვანი ნაწიბურის ამოკვეთით, და კისტის დრუს დრენირებით;
- გ) კისტის დაცლა სუბარაქნოიდული სივრცეების გამავლობის აღდგენით;
- დ) კისტის პუნქცია;

1368. უკანა ფოსოს არაქნოიდების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებებია:

- ა) ტკივილი კეფა-კისრის მიდამოში;
- ბ) სტატიკის დარღვევა;

გ) კოორდინაციის დარღვევა;

*დ) ოკლუზიურ-ჰიდროცეფალური სინდრომი;

1369. გვინის აბსცესების ღია მეთოდით მკურნალობა ნაჩვენებია:

ა) ღრმად მღებარე აბსცესის დროს;

ბ) გერმინალური სტადიაზე;

გ) კაფსულის ჩამოყალიბების სტადიაზე;

*დ) ანთებით-ჩირქოვანი კეროვანი ენცეფალიტის სტადიაზე;

1370. გვინის აბსცესების პუნქციური (სპასოკუკოცკი-ბაკულევის) მეთოდით მკურნალობა ნაჩვენებია:

ა) აბსცესის ზედაპირული მღებარეობისას;

*ბ) გერმინალურ სტადიაზე, და ღრმად მღებარე აბსცესების შემთხვევაში;

გ) კაფსულის ჩამოყალიბების სტადიაზე;

დ) ანთებით-ჩირქოვანი კეროვანი ენცეფალიტის სტადიაზე;

1371. გვინის აბსცესის გოგალური ევაკუაცია (ბურდენკოს მიხედვით) ნაჩვენებია:

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) გერმინალურ სტადიაზე;

*გ) კაფსულის ჩამოყალიბების სტადიაზე;

დ) ანთებით-ჩირქოვანი კეროვანი ენცეფალიტის სტადიაზე;

1372. ზურგის გვინის და ხერხემლის არაშემავალ ჭრილობებს მიეკუთვნება:

ა) ნაღმის ნამსხრევებით მიყენებული ხერხემლის მოგებილობა ლიქტორეით;

ბ) ხერხემლის ცეცხლნასროლი ჭრილობა ზურგის გვინის გამტარებლობის სრული დარღვევით;

გ) ღანით მიყენებული ჭრილობა გვინის მაგარი გარსის დაზიანებით;

*დ) ღანით მიყენებული ჭრილობა ყვითელი იოგის დაზიანებით;

1373. პარავერტებრალურს მიეკუთვნება:

ა) ცეცხლნასროლი ჭრილობა წვეტიანი მორჩის მოგებილობით;

ბ) ღანით მიყენებული შემავალი ჭრილობა მალთაშორის დისკში;

*გ) ტყვიით მიყენებული ჭრილობა III ნეკნის ყელის მოგებილობით;

დ) ღანით მიყენებული ჭრილობა ყვითელი იოგის დაზიანებით;

1374. ზურგის გვინის გრავმებს მისი ფუნქციების მოშლის გარეშემიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

*ა) ზურგის გვინის დაქევილობის;

ბ) რკალების მოგებილობის;

გ) წვეტიანი მორჩების მოგებილობა;

დ) რბილი ქსოვილების დაქევილობა ხერხემლის არეში;

1375. მაგარი გარსის გაკვეთა:

ა) სწორი პასუხი არ არის;

ბ) წარმოებს ხერხემლის ნებისმიერი გრამვის შემთხვევაში;

გ) ნაჩვენებია ჭრილობის ინფიცირების შემთხვევაშიც კი;

*დ) აუცილებელია ზურგის გვინის საეჭვო ინტრადურალური ზეწოლის შემთხვევაში;

1376. ხერხემლისა და ზურგის გვინის გრავმების შემთხვევაში რეკონსტრუქციულ ოპერაციებს მიეკუთვნება:

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

*ბ) შარდის ბუშტის რეინერვაცია;

გ) ზურგის გვინის პლასტიკა აუტოგრანსპლანტანტების გამოყენებით;

დ) ზურგის გვინის პლასტიკა;

1377. ზურგის გვინის ნაკვეთი და ნაჩვენებ ჭრილობებისას ოპერაციული ჩარევა-რევიზია:

*ა) ბროუნ-სეკარის სინდრომის დროს სუბარაქნოიდული სივრცის ბლოკის, და ზურგის გვინზე ზეწოლის გაძლიერების ნიშნების შემთხვევაში;

ბ) ნაჩვენებია მხოლოდ ბროუნ-სეკარის სინდრომის შემთხვევაში;

გ) ყველა შემთხვევაში ნაჩვენებია;

დ) არ არის ნაჩვენები;

1378. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებაა ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) გროფის პროგრესირებადი დარღვევები;

ბ) მღვრადი ტკივილის (ფესვობრივი) სინდრომი;

გ) ზურგის გვინის კომპრესიის ნიშნები;

*დ) ზურგის გვინის სრული ანატომიური გაწყვეტა;

1379. ზურგისა გვინისა და ხერხემლის გრავმული დაზიანების გამო განმეორებითი ოპერაციებისას ლამინექტომიის თავისებურებებია

- *ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) უხეში ნაწიბურთვანი კონგლომერანგის მაგარ გარსამდე ამოკვეთა;
- გ) მიდგომა 1-2 რკალის მოკვეთვით ზევით ან ქვევით ძველი ლამინექტომიის საზღვრებიდან
- დ) წვეტიანი მორჩების სკელეტირება კუპერის მაკრატლით;

1380. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანების ოპერაციებისას მენინგომიელიორალიკულოლიზის თავისებურებებია

- *ა) მიკროქირურგიული ტექნიკის გამოყენება;
- ბ) რადიკულოლიზი წარმოებს მჭრელი გზით;
- გ) რადიკულოლიზი წარმოებს ბლაგვი გზით;
- დ) არ ახასიათებს თავისებურებები;

1381. მალეების სხეულების რემექცია ბურდენკოს მიხედვით ნაჩვენებია

- ა) D1-D2 მალეების მოგეხილობის დროს;
- ბ) ჩ1 მალის რკალის მოგეხილობის დროს;
- *გ) გულმკერდის XII, და წელის I-II მალეების მოგეხილობა-ამოვარდნილობის დროს;
- დ) კისრის მალეების მოგეხილობა-ამოვარდნილობის დროს;

1382. “ეპიდურიგის” ქვეშ იგულისხმება

- ა) ყველა სწორია;
- ბ) მაგარი გარსის ასეკტიური ანთებითი ცვლილებები;
- გ) ეპიდურულად სისხლის დაგროვება;
- *დ) ზურგის გვინზე შეწოლის გამომწვევი ეპიდურალური ცხიმოვანი ქსოვილის, და მაგარი გარსის ანთებითი ცვლილებები;

1383. სპინალური არაქნოიდიგის ოპერაციული ჩვენებებია ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- *ა) ყველა სწორია;
- ბ) გამგარებლობითი სახის სენსორული მოშლილობების გაძლიერება;
- გ) გამგარებლობითი სახის მოტორული მოშლილობების გაძლიერება;
- დ) ფესვობრივი ტკივილების გაძლიერება;

1384. ავადმყოფს ხერხემალზე ოპერაციის შემდგომ აღდგენით პერიოდში უნიშნავენ:

- *ა) ყველა სწორია;
- ბ) სამკურნალო ფიზკულტურას;
- გ) სამკურნალო მასაჟს;
- დ) პრომერინს გალანტამინს;

1385. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანების დაზიანების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებებია:

- *ა) ყველა სწორია;
- ბ) ხერხემლის არხში ძვლოვანი ფრაგმენტები;
- გ) სუბარაქნოიდალური სივრცის გამგარებლობის დარღვევა;
- დ) მზარდი ნევროლოგიური სიმპტომატიკა;

1386. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანების დაზიანების აღრეული ქირურგიული მკურნალობის უკუჩვენებებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი სწორია;
- ბ) უროსფისის, სეფისის, პნევმონიის სწრაფი განვითარება;
- გ) კომბინირებული დაზიანებები ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის დროს;
- დ) კისრის II-III სეგმენტების დაზიანება სუნთქვის მნიშვნელოვანი მოშლით;

1387. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანებისას უცხო სხეულებისა და ძვლოვანი ფრაგმენტების ამოღების ტექნიკის თავისებურებებია

- *ა) ყველა პასუხი სწორია;
- ბ) უცხო სხეულების ლოკალიზაციის დასაზუსტებლად. განმეორებითი რენტგენოგრაფიის ჩატარება საოპერაციო მაგიდაზე;
- გ) თვალთ შესამჩნევი ფრაგმენტების მოცილება;
- დ) ამოღება ლამინექტომით;

1388. ხერხემლისა და ზურგის გვინის დაზიანებისას მაგარი გარსის გახსნა ნაჩვენებია

- ა) არ არის ნაჩვენები;
- ბ) ნაჩვენებია მხოლოდ ანთებითი პროცესების დროს;
- გ) ზურგის გვინის საეჭვო ექსტრადურული შეწოლისას;
- *დ) ყველა შემთხვევაში ეკონომიური გახსნა 2სმ.-მდე;

1389. კისრის მალეების ღონეზე ზურგის გვინზე უკანა მიდგომის ძირითადი ეტაპებია:

- ა) მიდგომა ხორციელდება ეპიდურალურად;

ბ) მაგარი გარსის წინა მელაპირის გაკვეთვა;

გ) 2-3 ფესვის გადაკვეთა;

*დ) კბილისებრი მყესის გაკვეთა;

1390. მოტეხილი და ამოვარდნილი კისრის მალეების ღია რეკლინაციის და რეპოზიციის წარმოების ძირითადი ეტაპებია:

*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) მაგარი გარსის გახსნა კბილისებური იოგის გადაკვეთით;

გ) სასახსრე მორჩების სკელეტირება;

დ) 2-3 მალის ლამინექტომია;

1391. უკანა წვეტამორისი სპონდილოლემის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება

*ა) ყველა ჩამოთვლილი;

ბ) იზღუდება მოძრაობები კისრის მიდამოში;

გ) მოითხოვს დამატებით იმობილიზაციას;

დ) ძელის გრანსპლანგანგი აღვილად გაიწოვება;

1392. ხერხემლის გულმკერდისა და წელის მალეების მოტეხილობა - ამოვარდნილობების შემთხვევებში ლამინექტომიის თავისებურებებია

*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

ბ) ამოვარდნილობის შემთხვევაში და ქვემოთ ორი რკალის და სასახსრე მორჩის რემექცია;

გ) ორი მემბრანული მალის ლამინექტომია, რომელთა სხეულებს შორისაც განვითარდა ქვეამოვარდნილობა ან ამოვარდნილობა;

დ) ავადმყოფის მდებარეობა მუცელზე;

1393. მალას ღია რეპოზიციის ტექნიკა გულისხმობს:

ა) ხელით რეპოზიცია არ წარმოებს;

*ბ) რეპოზიციას მალის სხეულზე ბეწოლას ხელებით;

გ) დაჭიმვას ქვედა კიდეებიდან;

დ) დაჭიმვას ილიის ფოსოს მიდამოებიდან;

1394. გრანსპლანგაციის საშუალებით ხერხემლის ფიქსაციის თავისებურებებს მიეკუთვნება:

ა) გამოიყენება ძელოვანი ექსპლანგატი;

ბ) გრანსპლანგანტი ფიქსირდება ერთ ზელა ან ქვედა სოლისებრ მორჩებზე;

*გ) გრანსპლანგანტი ფიქსირდება ორ ზელა, ან ქვედა წვეტიან მორჩებზე;

დ) არ არის აუცილებელი ფიქსაცია;

1395. მწვავე გრავემული თიაქრი უფრო ხშირად გვხვდება:

ა) გულმკერდის შუა ღონეზე;

ბ) გულმკერდის ქვედა ღონეზე;

გ) გულმკერდის ზედა ღონეზე;

*დ) კისრის, და წელის ღონეზე;

1396. მალთამორისი დისკების მწვავე თიაქრების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებებია:

*ა) ყველა ჩამოთვლილი;

ბ) მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლილობები;

გ) მგრძნობელობითი მოშლილობები;

დ) გამოხატული ფესვობრივი სინდრომი;

1397. სპინალური ოპერაციებისას გამოიყენება

ა) გამტარებლობითი ანესთეზია;

*ბ) ენდოგრაქიალური ნარკოზი მიორელაქსანტებით;

გ) ნიღბით ნარკოზი;

დ) ალგილობრივი ანესთეზია;

1398. მალთამორისი დისკების თიაქრების ამოკვეთა წარმოებს

ა) ყველა სწორია;

ბ) უკანა სპონდილოლემით;

გ) მხოლოდ გრანსლურალურად;

*დ) ექსტრაალურულად, ან გრანსლურალურად;

1399. ოპერაციის შემდგომი პერიოდის ინტენსიური თერაპია მოიცავს

*ა) ყველა ჩამოთვლილს;

ბ) სისხლის სემცვლელების გადასხმას;

გ) სისხლის გადასხმას;

დ) საგულე საშუალებებს;

1400. სპინალური ოპერაციის შემდგომ აღრეულ გართულებებს მიეკუთვნება

- ა) სუნთქვის მოშლა;
- ბ) სეფსისი;
- გ) პნევმონია;
- *დ) მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის დარღვევა;

1401. ნეიროქირურგიული ოპერაციებისას პრემელიკაციისა და საწყისი ნარკოზის მიზანია

- ა) ნევროლოგიური დიაგნოსტიკისათვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფა ოპერაციისა და ოპერაციის შემდგომ აღრეულ პერიოდში;
- ბ) ქალასშიდა წნევის შემცირების თავიდან აცილება;
- გ) ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის გაზრდა;
- *დ) ქალასშიდა წნევის მომაგების თავიდან აცილება;

1402. ნეიროქირურგიული ოპერაციების დროს გრაქეის ინტუბაციის თავისებურებებს მიეკუთვნება

- ა) მილის ბოლო უნდა მდებარეობდეს გრაქეის ბიფურკაციასთან უფრო ახლოს;
- ბ) მილის ბოლო მდებარეობს შუალედში ხმოვან ნაპრალსა და გრაქეის ბიფურკაციას შორის;
- გ) რაქეის ინტუბაცია არ უნდა აჭარბებდეს 5 წთ-ს;
- *დ) გრაქეის ინტუბაციის ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს 2 წთ-ს;

1403. საბაზისო ნარკოზისა და ნარკოზის დამთავრებისათვის გამოყენებული ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ ძირითადი მოთხოვნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს ერთი სანარკოზე ნივთიერება;
- ბ) არ გაზარდოს ქალასშიდა წნევა;
- გ) არ უნდა დათრგუნოს ფუნქციათა რეგულაციის უმაღლესი ცენტრები;
- დ) უნდა აღვილად მართოს ნარკოზის სიღრმე;

1404. ნეიროტრაუმის დროს ანესთეზიის მეთოდის შერჩევის ძირითადი ფაქტორია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) თანმხლები დაზიანების არსებობა და გამობახულება;
- გ) ცენტრალური ნერვული სისტემის ტრაუმის ხასიათი;
- დ) ნეიროქირურგიული ჩარევისას ანესთეზიის სპეციფიკა;

1405. ტვინის ზოგადი რეაქცია ტრავმაზე გამოვლინდება ტვინის

- *ა) ტვინის შეშუპება-გაფუების განვითარებით;
- ბ) ნეირო-ენდოკრინო-ჰუმორალური ფუნქციების რეგულაციის მოშლით;
- გ) ტვინის ჰემოდინამიკის მოშლით;
- დ) ტვინის მზარდი დაზიანებით კერის მიღამოში და მოშორებით;

1406. მწვავე პერიოდში ორგანიზმის მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციების დაზიანების ძირითადი სინდრომებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ენდოკრინული დარღვევები;
- გ) გულ-სისხლძარღვთა მოქმედების მოშლა;
- დ) სუნთქვის ცენტრალური და პერიფერიული მოშლილობები;

1407. თავის ტვინის შეშუპების მკურნალობის მეთოდებს მიეკუთვნება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ხელოვნური ჰიპერვენტილაცია;
- გ) გლუკოკორტიკოიდული ჰორმონების დანიშვნა;
- დ) ოსმოსური დიურეტიკების დანიშვნა;

1408. სუნთქვითი უკმარისობის დროს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის უპირატესობას წარმოადგენს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ჰიპერვენტილაციის გამოყენების შესაძლებლობა;
- გ) ჰიპოქსიისა და ჰიპერკაპნიის აღმოცენების თავიდან აცილება;
- დ) ფილტვების სრულფასოვანი ვენტილაცია;

1409. გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის ნიშნებია

- ა) ინტრაკრანიალური ჰიპოტენზია;
- ბ) ჰიპერტონიული სინდრომი;
- გ) არტერიული და ვენური წნევების ერთდროული დაქვეითება;
- *დ) დაბალი არტერიული წნევა, და მაღალი ვენური წნევა;

1410. გართულებული ქალა-ტვინის ტრავმის დროს პარენტერალური კვების მოთხოვნილება განისაზღვრება

- ა) 11000 - 13000 კ.კალს ღლეში;
- ბ) 9000 - 10000 კ.კალს ღლეში;
- გ) 7000 - 8000 კ.კალს ღლეში;
- *დ) 4000 - 5000 კ.კალს ღლეში;

1411. ინფექციური გართულებების მკურნალობა მოიცავს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) მინიმალური გვერდითი ეფექტების მქონე პრეპარატების გამოყენებას;
- გ) პრეპარატების შეყვანას ისეთი გზით უზრუნველყოფს მის მეტ კონცენტრაციას ლაზიანების ზონაში;
- დ) ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენებას;

1412. მალთაშორის ღისკოში ღეგენარაციულ-ღისგროფიული პროცესების არსი მოიცავს ყველა ჩამოთვლილისა გარდა:

- *ა) ყვითელი იოგის ჰიპერგროფიის;
- ბ) ღისკის ფრაგმენტაციის;
- გ) ღისკის პროლაბირების;
- დ) ღისკის გაუწყლოვანების;

1413. მალთაშუა ღისკის ფიქსაციაში მონაწილეობს შემდეგი სტრუქტურები, გარდა:

- *ა) წვეტაშორისი იოგებისა;
- ბ) უკანა გასწვრივი იოგისა;
- გ) წინა გასწვრივი იოგისა;
- დ) ფიბროზული რგოლისა;

1414. ღისკოს სრული პროლაფსი ხასიათდება:

- *ა) ბზარების გაჩენით ფიბროზური რგოლების ჯერ შიგნითა, შემდეგ გარეთა ზეპირზე, და უკანა გასწვრივი იოგის მთლიანობის დარღვევით;
- ბ) ელასტიურობის დაკარგვით და ფიბროზული რგოლის გათხელებით;
- გ) ბზარების გაჩენით ფიბროზული რგოლების გარეთა ზედაპირზე;
- დ) ღისკის გაუწყლოვანებით;

1415. მალთაშუა ღისკების თიაქრების დროს ალგიურ-რეფლექტორული გამოვლინებებია:

- ა) ტკივილების აღმოცენება ღლის ბოლოს;
- ბ) შარღის შეუკავებლობა;
- გ) ყრუ ხასიათის ტკივილები დაგვირთვისას;
- *დ) მჭრელი გამჭვალავი ტკივილები უხერხული მოძრაობების დროს, და ანტალგიური პოზა;

1416. მალთაშუა ღისკის თიაქრის კომპრესიული გამოვლინებებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) ბროუნ-სეკარის სინდრომის;
- ბ) მენჯის დრუს ორგანოების ფუნქციის მოშლილობების;
- გ) ტერფების პარეზის;
- დ) შარღის მწვავე შეკავების;

1417. ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს:

- ა) უკანა-გვერდითი თიაქრები;
- ბ) გვერდითი თიაქრები;
- გ) უკანა თიაქრები;
- *დ) მალთაშუა ღისკის წინა თიაქრები;

1418. კისრის ოსტეოქონდრომის ტიპური კლინიკური გამოვლინებებია:

- ა) ღუნე ტეტრაპლეგია ზეღა კიღურებში, სპასტიური ქვეღა კიღურებში, გროფიკის მოშღა;
- *ბ) ტკივილები კისერში და ხელში, კარპო-რადიღლური რეფლექსის გაცხოველებით;
- გ) მგრძნობეღობის გამჭარებღობითი მოშლილობები, გროფიკის მოშღა;
- დ) ტკივიღი ტეტრაპლეგია;

1419. კისრის ოსტეოქონდრომის ალგიურ-რეფლექტორულ სინდრომს მიეკუთვნება:

- ა) ყვეღა ჩამოთვლიღი;
- ბ) ზეღა მონოპარეზი;
- გ) ნეიროღისგროფიული მოშლილობები;
- *დ) ტკივილები კისრისა, და მხრის მიღამოებში;

1420. კისრის მიეღოპათიის კლინიკური სურათია:

- *ა) ყვეღა ჩამოთვლიღი;
- ბ) ხეღებში კუნთთა ატროფია, მგრძნობეღობითი და ტკივიღის სინდრომები;
- გ) სპასტიკა და სისუსტე ქვეღა კიღურებში;

დ) სიარულის გაძნელება;

1421. ფესვობრივ-კომპრესიულ სინდრომის დროს აღვილი აქვს:

*ა) ყველა სწორია;

ბ) მყესთა და მყესძვალთა რეფლექსების დაქვეითება;

გ) კუნთთა ჰიპოტროფია ფესვის საინერვაციო ზონაში;

დ) წვითი ქანჩითი ხასიათის ტკივილებს შესაბამისი ფესვის საინერვაციო ზონაში;

1422. ხერხემლის არტერიის სინდრომის დროს აღვილი აქვს:

ა) ეგზოფტალმს;

*ბ) მხედველობის მოშლას, თავბრუსხვევას, ნისგაგმს და დროპ ატაქსს;

გ) შეტყეები ცნობიერების დაკარგვით, გონური კრუნჩხვების ხელებში და თავის მოტრიალებით;

დ) თავის ტკივილები შუბლის მიდამოში გულსრევიით;

1423. ხერხემლის გულმკერდის ოსტეოქონდროზის შემთხვევაში აღმოცენდება:

ა) ტონუსის დაქვეითება ქვედა კიდურებში;

*ბ) შემოსარტყელითი ტკივილები გულმკერდის არეში;

გ) ქვედა კიდურებში რეფლექსების დაქვეითება;

დ) ტკივილები ქვემო კიდურებში;

1424. მალთაშუა დისკის უკანა ნაწილის დაზიანებისას გვხვდება

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) წინა თიაქარი;

*გ) უკანა-გვერდითი, და გვერდითი თიაქარები;

დ) შმორლის თიაქარი;

1425. ხერხემლის წელის მიდამოს მალთაშუა დისკის წინა თიაქრის შემთხვევაში აღვილი აქვს

*ა) უსიმპტომო მიმდინარეობას;

ბ) კუნთების ჰიპოტონიას ქვედა კიდურებში;

გ) მუხლის რეფლექსების გაცხოველებას;

დ) პარეზებს ქვედა კიდურებში;

1426. წელის ოსტეოქონდროზის საწყის სტადიაზე გვხვდება ტკივილების ყველა ტიპი, გარდა

ა) მღრღნელი ტკივილებისა წელის არეში;

ბ) ყრუ ტკივილებისა წელის არეში;

*გ) მჭრელი ტკივილებისა წელის არეში;

დ) ტკივილების აღმოცენება სხეულის პოზიციის ცვლილებების და დაგვირთვისას;

1427. წელის ოსტეოქონდროზის ქრონიკული ფორმის დროს დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა

ა) მღრღნელი ტკივილებისა წელის არეში;

ბ) ყრუ ტკივილებისა წელის არეში;

გ) ლიფუზური ტკივილებისა წელის არეში;

*დ) მჭრელი ტკივილებისა წელის არეში;

1428. წელის ოსტეოქონდროზის დროს ნერვულ-სისხლძარღვოვანი წარმონაქმნების კომპრესიის სიმპტომები გამოვლინდება

*ა) ყველა ჩამოთვლილით;

ბ) მოტორული მოშლილობებით;

გ) ტროფიკული მოშლილობებით;

დ) მგრძობელობის მოშლით კიდურებში;

1429. მალთაშორის დისკების დეგენერაციის ნიშნები ყველაზე ხშირად აღმოცენდება შემდეგ ასაკში:

ა) 50 წლის;

*ბ) 30 წლის;

გ) 20 წლის;

დ) 10 წლის;

1430. პულპოზურ ბირთვში დეგენარაციულ-დისტროფიული პროცესების ხელშემწყობი მიზეზებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა

ა) მაკროტრაფემების;

ბ) მიკროტრაფემების;

გ) ხერხემალზე სტატიკური და დინამიკური დაგვირთვისები;

*დ) სისხლის მიმოქცევის დარღვევისა;

1431. ფიბროზული რგოლის დისტროფიის მიზეზებია

*ა) დისკის მეტაბოლიზმის დაღვევა;

- ბ) ფიბროზული რგოლების ჯერ შიგნითა შემდეგ კი გარეთა ნაწილებში ბზარების გაჩენა;
- გ) ფიბროზული რგოლების გარეთა ნაწილებში ბზარების გაჩენა;
- დ) მისი გათხელება და ელასტიურობის დაკარგვა;

1432. ხერხემლის ოსტეოქონდროზის ეკოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) ხერხემლის გრაემები;
- გ) აუციომუნური პროცესები;
- დ) ნივთიერებათა ცვლის მოშლა;

1433. მალთაშორისი დისკების ამოკვეთისას მიზანშეწონილია მიკროსკოპის გამოყენება შემდეგი ფოკუსური მანძილით

- ა) 550 მმ.;
- *ბ) 350 მმ.;
- გ) 250 მმ.;
- დ) 200 მმ.;

1434. მალთაშორისი დისკების ამოკვეთისას ნაკლებად გრაემულია

- ა) ეპილეფსია
- ბ) ლამინექტომია;
- გ) წინა მიდგომა;
- *დ) ინტერლამინარული მიდგომა;
- ე) ჰემილამინექტომია;

1435. ეპილეფსიის მკურნალობის ძირითადი პრინციპებია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) განუწყვეტელი და ხანგრძლივი მკურნალობა
- გ) კომპლექსური მკურნალობა
- დ) მკურნალობის ადრეული დასაწყისი

1436. ეპილეფსიის მკურნალობის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) ავადმყოფის ფსიქოლოგიური ნიშნების თავისებურება და ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები
- გ) ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსის კლინიკური სურათი
- დ) გულყრების კლინიკური თავისებურებანი

1437. ეპილეფსიური გულყრების კომპლექსური მკურნალობა გულისხმობს:

- ა) წარმოებს მხოლოდ ეპილეფსიური სტატუსის დროს
- ბ) მხოლოდ ანტიკონვულსანტებით მკურნალობას
- *გ) ანტიკონვულსანტების, გამწოვი, შარღმლენი და სხვა საშუალებების კომპლექსურ შერჩევას
- დ) მკურნალობის ადრე დაწყებას

1438. ეპილეფსიის ინდივიდუალური მკურნალობის პრინციპი ემყარება:

- *ა) ყველა პასუხი სწორია
- ბ) ავადმყოფის სხვადასხვა ანტიკონვულსანტების მიმართ ინდივიდუალურ მგრძობილობის გათვალისწინებას
- გ) გულყრების სისშირის ანალიზს და ელექტროენცეფალოგრაფიის მონაცემებს
- დ) გულყრების დაწყების პათოგენეტიკურ ხასიათს და გულყრის სტრუქტურის ანალიზს

1439. ეპილეფსიის უწყვეტი მკურნალობა გულისხმობს:

- ა) ანტიკონვულსანტების მუდმივ დანიშნებას დღეგამოშვებით ან 2-3-ჯერ კვირაში
- *ბ) ანტიკონვულსანტების ყოველდღიურ მიღებას გულყრის სისშირისა, და ხასიათის მიხედვით
- გ) ანტიკონვულსანტების მაქსიმალური სადღეღამისო დოზის მიღებას
- დ) ანტიკონვულსანტების საშუალო თერაპიული დოზის მიღებას

1440. ეპილეფსიის ხანგრძლივი მკურნალობის პრინციპი გულისხმობს:

- ა) ანტიკონვულსანტების ხანგრძლივ მიღებას მხოლოდ კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით
- ბ) ანტიკონვულსანტების უკონტროლო მიღებას მთელი სიცოცხლის მანძილზე
- *გ) ანტიკონვულსანტების ხანგრძლივ მიღებას კლინიკურ-ელექტროენცეფალოგრაფიული დინამიკის მიხედვით
- დ) ანტიკონვულსანტების რამოდენიმე კვირით მიღებას

1441. ეპილეფსიის დროს ანტიკონვულსანტების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:

- ა) გულყრების სადღეღამისო რიგში
- ბ) ავადმყოფის წონა
- *გ) გულყრის სტრუქტურა
- დ) სიმსივნის პათოლოგიური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს ეპილეფსიურ სინდრომს

1442. ანტიკონვულსანტების ექვივალენტური დოზა განისაზღვრება შემდეგი პრეპარატის „ეგალონური დოზის“ მიხედვით:

- ა) ვალპროატი
- *ბ) ფენობარბიტალი
- გ) ჰექსამილინი
- დ) ლიფენინი

1443. ფენობარბიტალის 40 მგ. ექვივალენტურია ჰექსამილინის შემდეგი დოზის:

- ა) 500 მგ.
- *ბ) 100 მგ.
- გ) 25 მგ.
- დ) 5 მგ.

1444. ფენობარბიტალის 50 მგ. ექვივალენტურია ბენზონალის შემდეგი დოზის:

- ა) 2000 მგ.
- ბ) 500 მგ.
- *გ) 100 მგ.
- დ) 5 მგ.

1445. ფენობარბიტალის 25 მგ. ექვივალენტურია ფინლექსინის შემდეგი დოზის:

- *ა) 100 მგ.
- ბ) 75 მგ.
- გ) 25 მგ.
- დ) 5 მგ.

1446. ფენობარბიტალის 50 მგ. ექვივალენტურია ლიფენინის შემდეგი დოზის:

- ა) 200 მგ.
- ბ) 150 მგ.
- *გ) 100 მგ.
- დ) 50 მგ.

1447. ანტიკონვულსანტების ალექვატური დოზის ღანიშუნის ძირითადი კრიტერიუმია:

- ა) გულყრის ფორმულის შეცვლა
- *ბ) გულყრების სიხშირის კლება
- გ) ანტიკონვულსანტებით ინტოქსიკაციის ნიშნების გამოჩენა
- დ) გულყრის სტრუქტურის შეცვლა

1448. ეპილეფსიის სამკურნალო ბაზისური პრეპარატია:

- ა) სედუქსენი
- *ბ) ფენობარბიტალი
- გ) კონველექსი
- დ) ლიფენინი

1449. იშვიათი ეპილეფსიური გულყრების დროს ფენობარბიტალის სადღეღამისო დოზაა:

- ა) 500 მგ.
- ბ) 100 მგ.
- *გ) 50 მგ.
- დ) 25 მგ.

1450. საშუალო სიხშირის ეპილეფსიური გულყრების დროს ფენობარბიტალის სადღეღამისო დოზაა:

- ა) 500 მგ.
- *ბ) 150 მგ.
- გ) 50 მგ.
- დ) 25 მგ.

1451. ხშირი ეპილეფსიური გულყრების დროს ფენობარბიტალის სადღეღამისო დოზაა:

- ა) 500 მგ.
- *ბ) 250 მგ.
- გ) 50 მგ.
- დ) 25 მგ.

1452. ეპილეფსიური გულყრების შეწყვეტასთან დაკავშირებული დოზის თანდათანობითი დაკლების პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს:

- *ა) ეპილეფსიური სინდრომი

- ბ) კუჭ-ნაწლავის ფუნქციის დარღვევა
- გ) ლიმფაქროპათია
- დ) იმუნოდეფიციტი

1453. ანტიეპილეფსიური პრეპარატების კლასიფიკაციის საფუძველია:

- ა) ფარმაკეგული ფორმა
- ბ) ერთნაირი გვერდითი ეფექტურობის არსებობა
- გ) გულყრების განსაზღვრულ ფორმებზე შერჩევითი მოქმედება
- *დ) ქიმიური შენაერთების განსაზღვრული კლასის კუთვნილება

1454. ეპილეფსიის მკურნალობის თანამედროვე პრინციპია:

- ა) ანტიკონვულსანტების დანიშვნა 1-3-ჯერ დღეში
- ბ) ანტიკონვულსანტების ხშირი დანიშვნა დღე-ღამის განმავლობაში
- გ) პოლიპრაგმაზია
- *დ) მონოპრაგმაზია

1455. ბენზოდიამეპინის ნაწარმებია:

- *ა) რაღელორმი
- ბ) ტრიმეტინი
- გ) ლიპაკინი
- დ) ჰექსამილინი

1456. კარბამაზეპინების ჯგუფში შედიან:

- ა) რივოტრილი
- *ბ) ტეგრეტოლი
- გ) სუქსილენი
- დ) ტრიმეტინი

1457. ბარბიტურატებს განეკუთვნებიან:

- ა) ჰექსამილინი
- *ბ) ლუმინალი
- გ) ფინლეპსინი
- დ) ლიფენინი

1458. ანტიკონვულსანტ-ფენიტონების (ჰიდანტონების) ძირითადი წარმომადგენელია:

- ა) კონველექსი
- ბ) ბენზონალი
- *გ) ლიფენინი
- დ) რაღელორმი

1459. ანტიკონვულსანტები არ არიან შემდეგი შენაერთების წარმომადგენლები:

- ა) ვალპროეს მეთაქს შენაერთები
- *ბ) განგლიობლოკატორები
- გ) ბენზოდიამეპინები
- დ) ქოლინოლიტიკები

1460. კარბამაზეპამინების დანიშვნის პირდაპირი ჩვენებაა ეპილეფსიურ სინდრომში შემდეგი ფორმების დომინირება:

- ა) აბსანსები
- ბ) ვეგეტო-ვისცერალური პაროქსიზმები
- *გ) ფოკალური გულყრები
- დ) ფსიქომოტორული ავტომატიზმები

1461. ბარბიტურატების ანტიკონვულსური მოქმედება დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი არიან:

- ა) ანტიჰისტამინური საშუალებები
- ბ) მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორები
- *გ) ანტიჰიპოქსანტები
- დ) ანტიოქსიდანტები

1462. ანგიაბსანსური ანტიკონვულსანტებს მიეკუთვნება:

- *ა) სუქსილეპი
- ბ) ბენზონალი
- გ) რაღელორმი
- დ) ლუმინალი

1463. ფოკალური გულყრების დროს ფენობარბიგალის გარდა რეკომენდირებულია დაინიშნოს:

- *ა) სელექსენი
- ბ) ჰექსამილინი
- გ) სუქსილეპი
- დ) კონველექსი

1464. გამოხატული გამაამინოოქსიბუტირატის-ეფექტით ხასიათდება:

- *ა) კონველექსი
- ბ) ბენზოლანი
- გ) ჰექსამილინი
- დ) ფინლექსინი

1465. ანტიკონველსანტების ხანგრძლივი მიღების გვერდით ეფექტებად ითვლება:

- *ა) ყველა პასუხი სწორია
- ბ) აგრანულოციტოზი
- გ) ნათხემისმიერი ატაქსია
- დ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლილობა და კუჭ-ნაწლავის მოშლილობა

1466. სერიული გულყრებისაკენ ტენდენციის დროს ბაზისური საშუალებების გარდა უნდა დაინიშნოს:

- ა) კლონაზეპამი
- ბ) სუქსილენი
- *გ) ლიფენინი
- დ) ჰექსამილინი

1467. ეპილეფსიური სინდრომის დროს თანმხლებული ინტრაკრანიალურ ჰიპერტენზიასთან მიზანშეწონილია დაინიშნოს:

- ა) მანიტოლი
- *ბ) ლიაკარბი
- გ) გლიცერინი
- დ) ვეროშპირონი

1468. ლეტალობა ეპილეფსიური სტატუსის დროს შეადგენს:

- *ა) 4-5 %
- ბ) 20 %
- გ) 25 %
- დ) 35 %

1469. ჰოსპიტალამდელ ეტაპზე ეპილეფსიური სტატუსის სამკურნალოდ პირველი რიგის არჩევითი პრეპარატია:

- ა) ჰექსენალი კუნთებში
- *ბ) სელექსენი ინტრავენურად
- გ) გოგირდმუჟავა მაგნიზია ინტრავენურად
- დ) ქლორალჰიდრატის ოყნა

1470. ჰოსპიტალამდელ ეტაპზე ეპილეფსიური სტატუსის სამკურნალოდ მეორე რიგის პრეპარატების გამოყენება შესაძლებელია:

- ა) ჰოსპიტალამდელ ეტაპზე არ გამოიყენება
- *ბ) სპეციალიზირებულ "სასწრაფო დახმარების" მანქანაში ვენაში
- გ) "სასწრაფო დახმარების" მანქანაში კუნთებში
- დ) ადგილზე (სახლში, ქუჩაში)

1471. ეპილეფსიური სტატუსით ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია ხდება:

- ა) ჰოსპიტალიზაცია საჭირო არ არის
- *ბ) რეანიმაციულ განყოფილებაში
- გ) ქირურგიულ განყოფილებაში
- დ) ზოგადთერაპიულ განყოფილებაში

1472. ეპილეფსიური სტატუსის დროს აუცილებელია:

- ა) გოგირდმუჟავა მაგნიზია ვენაში
- ბ) ლიფენინი კუჭის ზონდის საშუალებით
- *გ) სელექსენი ვენაში
- დ) ქლორალჰიდრატის ოყნა

1473. ეპილეფსიურ სტატუსის დროს პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ:

- ა) ნატრიუმის თიოპენტალნი
- ბ) ვიარლილი
- გ) ჰექსენალი

*დ) სელექსენი

1474. ეპილეფსიური სტაგუსის ღროს ანგიკონველსანგებისადმი რემისტენტობისას შემთხვევაში საჭიროა გამოვიყენოთ:

- *ა) ყველა პასუხი სწორია
- ბ) ლობირებული კომბინირებული ნარკოზი
- გ) ლობირებული ინტრავენური ნარკოზი
- დ) ლობირებული ინჰალაციური ნარკოზი

1475. ეპილეფსიური სტაგუსის მკურნალობაში უპირატესად გამოვიყენებთ:

- ა) ნარკოზის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის
- ბ) ღრმა ნარკოზი
- გ) ნარკოზის II ქირურგიული სტადის
- *დ) ნარკოზის I ქირურგიული სტადის

1476. ნარკოზის ხანგრძლივობა ეპილეფსიური სტაგუსის მკურნალობისას უნდა იყოს:

- *ა) 6-7 საათამდე
- ბ) 3 საათი
- გ) 2 საათი
- დ) 1 წუთი

1477. ეპილეფსიური სტაგუსის ღროს, რომელიც მკურნალობას არ ემორჩილება, სიცოცხლისათვის უშუალო საფრთხეს წარმოადგენს:

- ა) აცილოზი
- *ბ) ასფიქსია
- გ) ოლიგურია
- დ) გულყრის სინდრომი

1478. ეპისტაგუსის ღროს გვინის შეშუპების სამკურნალოდ ყველაზე ხშირიად გამოვიყენებენ:

- ა) ანგიოქსიდანტებს
- *ბ) ჰიპეროსმოლარულ ხსნარებს, და ოსმოლიურეტიკებს
- გ) ანგიჰიპოქსანტებს
- დ) ვაზოდილატატორებს

1479. ეპისტაგუსის ოსმოლიურეტიკებით მკურნალობისას გვერდით მოვლენად ითვლება:

- *ა) უკუღარტყმის ფენომენი
- ბ) ჰიპერკალემია
- გ) ჰიპერვოლემია
- დ) აცილოზი

1480. ეპისტაგუსის სალურეტიკებით მკურნალობისას გვერდით მოვლენად ითვლება:

- *ა) ჰიპოკალემია
- ბ) ჰიპერგლიკემია
- გ) ჰიპერვოლემია
- დ) აცილოზი

1481. ეპისტაგუსის ღროს სუნთქვითი რეანიმაცია შესაძლებელია მოიცავდეს:

- *ა) ყველა ჩამოთვლილ საშუალებას
- ბ) ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას
- გ) სასუნთქი გზების გამაფლობის აღდგენას
- დ) გრაქეოსტომიას

1482. ეპილეფსიური სტაგუსის ღროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობის მიზანია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი
- ბ) არითმიის მკურნალობა
- გ) გულის უკმარისობის ლიკვიდაცია
- დ) არტერიული წნევის ნორმალიზაცია

1483. ეპისტაგუსის ღროს ჰომეოსტაზის დარღვევის კორექცია ხდება შემდეგი საშუალებებით:

- *ა) ნებისმიერი ჩამოთვლილი სწორია
- ბ) ნატრიუმის ბიკარბონატით
- გ) 40% გლუკოზით
- დ) ფიზიოლოგიური ხსნარით

1484. ეპისტაგუსის ღროს კურარიზაცია აუცილებელია:

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი
- *ბ) გერელე ნარკომის ჩასაგარებლად
- გ) კუნთების ნორმალური მეტაბოლიზმის ნორმალიზაციისათვის
- დ) გულყრის შესაწყვეტად

1485. არამაპოლიარიზებული რელაქსანტებია:

- ა) პროპერინი
- ბ) არფონადი
- გ) დიტილინი
- *დ) ტუბოკურარინი

1486. მაღეპოლიარიზებული რელაქსანტებია:

- ა) პროპერინი
- *ბ) დიტილინი (ლისტენონი)
- გ) დიპლაცინი
- დ) ტუბოკურარინი

1487. ეპისტაგუსის დროს კურარიზაციის პირველი რიგის ჩვენებაა:

- ა) გულ-სისხლძარღვთა მოქმედების დარღვევა
- ბ) არაკუპირებადი გულყრის სინდრომი
- გ) არაკუპირებადი მეტაბელური დარღვევები
- *დ) სიცოცხლისათვის საშიში ასფიქსია

1488. ეპილეფსიური სტაგუსის ავადმყოფთა მოვლის მიზანია:

- *ა) ყველა პასუხი სწორია
- ბ) აღექვატური ზინდით კვების უზრუნველყოფა
- გ) განმეორებითი გულყრების დროს ტრავმის პროფილაქტიკა
- დ) კუჭის შიგთავსით ასპირაციის პროფილაქტიკა

1489. ეპილეფსიური სტაგუსის მკურნალობა ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს:

- ა) გეკარნახობს ტეტურამის მიღების აუცილებლობას
- *ბ) მითხთვს დემინტოქსიკაციას
- გ) ანტიკონვულსანტები საჭირო არ არის
- დ) არ გამოირჩევა სპეციფიკით

1490. ალკოჰოლი, როგორც წესი:

- *ა) ამცირებს გულყრის მზადყოფნის ზღურბლს, და ახდენს გულყრის პროვოცირებას
- ბ) ზრდის გულყრის მზადყოფნის ზღურბლს
- გ) არ ახდენს გავლენას გულყრებზე
- დ) ამცირებს გულყრების სიხშირეს

1491. ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს ეპილეფსიური სინდრომის მკურნალობისათვის საჭიროა:

- ა) ანტიკონვულსანტების დიდი დოზის მიღება
- *ბ) ალკოჰოლიზმისა, და ეპილეფსიის კომბინირებული მკურნალობა
- გ) ეპილეფსიური სინდრომის იზოლირებული მკურნალობა
- დ) ალკოჰოლიზმის მკურნალობა ეპილეფსიის დროს საჭირო არ არის

ბავშვთა ასაკის ნეიროქირურგია

1492. ახალშობილის თავის გარშემოწერილობა ნორმაში არის:

- ა) 27-29 სმ;
- ბ) 38-42 სმ;
- *გ) 34-37 სმ,
- დ) 30-32 სმ;

1493. დიდი ყიფლიბანდი იხურება:

- ა) 2,5 წლისათვის;
- ბ) 3 წლისათვის;
- გ) 1,5-2 წლისათვის;
- *დ) 6-12 თვისათვის;

1494. მცირე ყიფლიბანდი იხურება:

- ა) 4 თვისათვის;
- *ბ) 2-3 თვისათვის;

- გ) 1,5 წლისათვის;
- დ) 1 წლისათვის;

1495. თავის გარშემოწერილობა დაბადებიდან პირველი თვის განმავლობაში მაგულობს:

- ა) 5,0 სმ-ით;
- *ბ) 2,5-3,0 სმ-ით;
- გ) 1 სმ-ით;
- დ) 0,5 სმ-ით;

1496. თავის გარშემოწერილობა 2 თვის ასაკიდან 3 თვის ასაკამდე მაგულობს:

- ა) 2,0 სმ-ით;
- *ბ) 1,5 სმ-ით;
- გ) 3,0 სმ-ით;
- დ) 0,5 სმ-ით;

1497. თავის გარშემოწერილობა 4 თვის ასაკიდან 6 თვის ასაკამდე ყოველთვიურად მაგულობს:

- *ა) 1 სმ-ით;
- ბ) 3 სმ-ით;
- გ) 1,5 სმ-ით;
- დ) 2 სმ-ით;

1498. თავის გარშემოწერილობა 6 თვის ასაკიდან 12 თვის ასაკამდე ყოველთვიურად მაგულობს:

- *ა) 0,5 სმ-ით;
- ბ) 1 სმ-ით;
- გ) 2 სმ-ით;
- დ) 3 სმ-ით;

1499. თავის გარშემოწერილობა 1 წლის ასაკში ნორმაში არის:

- *ა) 45-49 სმ;
- ბ) 42-44 სმ;
- გ) 41-42 სმ;
- დ) 40-41 სმ;

1500. თავის გარშემოწერილობა 1 წლიდან 3 წლის ასაკამდე მაგულობს:

- ა) 7-8 სმ;
- ბ) 5-6 სმ;
- *გ) 3-4 სმ;
- დ) 1-2 სმ;

1501. ბავშვის დაბადებისას მთავრდება თავის გვინის შემდეგი წილების განვითარება:

- ა) შუბლის;
- *ბ) მოგრძო გვინის, და ეპიფიზის;
- გ) საფეთქლის;
- დ) თხემის;

1502. თავბურგვინის სითხე ღლე-ღამის განმავლობაში განიცდის განახლებას:

- *ა) ოთხჯერ;
- ბ) სამჯერ;
- გ) ორჯერ;
- დ) ერთხელ;

1503. ღლე-ღამის განმავლობაში გამომუშავდება:

- ა) 700-750 მლ. ლიქვორი;
- *ბ) 450-600 მლ. ლიქვორი;
- გ) 120-150 მლ. ლიქვორი;
- დ) 100-110 მლ. ლიქვორი;

1504. ახალშობილობის პერიოდში თავბურგვინის სითხის ნორმალური წნევაა:

- ა) 200-220 წყ.სვ;
- ბ) 120-180 მმ. წყ.სვ;
- გ) 70-80 მმ. წყ.სვ;
- *დ) 50-60 მმ. წყ.სვ;

1505. სკოლის ასაკის ბავშვის თავბურგვინის სითხის ნორმალური წნევაა:

- ა) 200-220 მმ.წყ.სვ;
- *ბ) 120-180 მმ.წყ.სვ;
- გ) 70-80 მმ.წყ.სვ;
- დ) 50-60 მმ.წყ.სვ;

1506. ქალას სარქველის ძვლებში დიპლოიდური შრე ვითარდება;

- *ა) 2 წლისათვის;
- ბ) 1 წლისათვის;
- გ) 6-8 თვის ასაკში;
- დ) 2-3 თვის ასაკში;

1507. ქალას ძვლებს შორის ნაკერები ჩნდება:

- *ა) 1 წლისთვის;
- ბ) 6 თვისთვის;
- გ) 3 თვისთვის;
- დ) დაბადებისას;

1508. რენტგენოლოგიურად ნეიროქირურგიული დაავადება ბავშვებში როგორც წესი ვლინდება კრანოიოგრაფებზე:

- *ა) თითისებრი ჩანაჭდევეების სურათის გაძლიერებით;
- ბ) სისხლძარღვოვანი სურათის გაძლიერებით;
- გ) ქალას ასიმეტრიით;
- დ) პინეალურ მიდამოში პეგრიკიფიკაციის არსებობით;

1509. ჰიპერტენზიის ნიშნების გამოვლენა აღრეული ასაკის ბავშვებში შესაძლებელია:

- *ა) ყველა ზეჩამოთვლილი ნიშნებით.
- ბ) თვალის ფსკერის გამოკვლევით.
- გ) თავის ქალას რენტგენოგრაფიით.
- დ) თავის ქალას გასინჯვით.

1510. პარაკუჭოვანი სისტემის ხანგრძლივი გარეთა დრენირების ჩვენებაა:

- ა) უცნობი ეტიოლოგიის ჰიპერტენზიული სინდრომი;
- *ბ) ანთებითი პროცესის შემდგომი სიღვივის წყალსადენის ოკლუზია;
- გ) თავის ტვინის ღეროს სისმსივნის არსებობა ოკლუზიის გარეშე;
- დ) თავის ტვინის ჰემისფეროს სისმსივნის არსებობა;

1511. ბავშვებში თავის ტვინის პარაკუჭოვანი სისტემის პუნქციის ჩვენებაა:

- ა) ტვინის შეშუპება;
- ბ) ეპილეფსიური სტატუსი;
- გ) თავის ტვინის ჰემისფეროს სისმსივნე;
- *დ) ჰიპერტენზიულ-ჰიდროცეფალური სინდრომი;

1512. უკანა ფოსოს სიმსივნეების დროს კრანოიოგრაფებზე გამოხატულია:

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) კეფის ძვლის გათხელება და გამობურცულობა;
- გ) დიდი პორომულობა;
- დ) ქალას ძვლების ნაკერების გახსნა;

1513. თვალის მამოძრავებელი ნერვის დაზიანება ვლინდება თავის ტვინის შემდეგი ლოკალიზაციის ანევრიზმების დროს:

- ა) შუა არტერიის;
- *ბ) უკანა შემაერთებელი არტერიის;
- გ) წინა შემაერთებელი არტერიის;
- დ) წინა არტერიის;

1514. თავის ტვინის ჰემისფეროს არტერიო-ვენოზურ ანევრიზმას უფრო ხშირად ახასიათებს:

- ა) ჰიპერტენზიული ნიშნები კრანოიოგრაფებზე;
- ბ) შეგუბებითი მოვლენები თვალის ფსკერზე;
- გ) თავის ტკივილი;
- *დ) ეპილეფსიური გულყრა;

1515. ქალასშიდა სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევა ვლინდება:

- *ა) ყველა ჩამოთვლილით;
- ბ) მოუსვენრობით, აგზნებით;
- გ) ჰიპერთერმიით;
- დ) თავის ტკივილით;

1516. ვენა გალენას ანევერიზმის ძირითად მკვებავ არტერიას წარმოადგენს:

- ა) ნათხემის ზემო არტერია;
- *ბ) უკანა არტერია;
- გ) წინა არტერია;
- დ) შუა არტერია;

1517. ახალშობილებში ვენა გალენას ანევერიზმის წამყვანი დამახასიათებელი ნიშანია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) თავის ტკივილი;
- გ) ჰიდროცეფალია;
- *დ) გულის უკმარისობა;

1518. მცირეწლოვანი ასაკის ბავშვებში ვენა გალენას ანევერიზმისათვის დამახასიათებელია:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) თავის ტკივილი;
- *გ) ჰიდროცეფალია;
- დ) გულის უკმარისობა;

1519. პარაკუჭოვანი სისტემის ხანგრძლივი გარეთა დრენირება უნდა განხორციელდეს:

- ა) ეპისინდრომის დროს;
- ბ) გვინის შეშუპების დროს;
- *გ) ხშირი ოკლუზიური კრიზების დროს;
- დ) თვალის ფსკერზე შეგუბებითი მოვლენების დროს;

1520. წლამდე ასაკის ბავშვებში ინტრაცერებრული სიმსივნის დროს წამყვანი სიმპტომებია:

- ა) კეროვანი;
- ბ) კრუნჩხვითი;
- გ) მენინგეალური;
- *დ) მეორადი ღეროვანი;

1521. პარაკუჭოვანი სიმსივნე წლამდე ასაკის ბავშვებში უფრო ხშირად ვლინდება:

- ა) ჰემიპლეგიით;
- ბ) კერნიგის სიმპტომით;
- გ) ეკზოფტალმიით;
- *დ) თავის გარშემოწერილობის პროგრესული მოზატებით;

1522. ბავშვებში IV პარაკუჭის სიმსივნის აღრეულ სტადიას ხშირად ახასიათებს:

- ა) ჰიპერთერმია;
- ბ) ძილის დარღვევა;
- გ) ანემია;
- *დ) მუცლის ტკივილი;

1523. ბავშვებში თავის გვინის ღეროს სიმსივნე უმეტესად ვლინდება:

- ა) ფსიქოპათიური სიმპტომებით;
- ბ) კრუნჩხვითი სინდრომით;
- *გ) ლოკალური სიმპტომებით;
- დ) ზოგადტვინოვანი სიმპტომებით;

1524. მხედველობის სიმახვილის ცალმხრივი პროგრესული დაქვეითება უმეტესად გვხვდება:

- ა) უკანა ფოსოს სიმსივნის დროს;
- *ბ) მხედველობის ნერვის გლიომის დროს;
- გ) ჰიპოფიზის სიმსივნის დროს;
- დ) სუპრატენტორიალური სიმსივნეების დროს;

1525. ბავშვთა ასაკში ქალას ძვლების სიმსივნეებს შორის ყველაზე გავრცელებულია:

- ა) ოსტეობლასტომა;
- ბ) ოსტეოსარკომა;
- გ) ოსტეომა;
- *დ) ეოზინოფილური გრანულომა;

1526. III პარაკუჭის უკანა მიდამოს სიმსივნე ბავშვებში ვლინდება:

- ა) ჰემიპლეგიით;
- *ბ) ოთხგორაკის სინდრომით;

- გ) მხედველობის დაქვეითებით;
- დ) ჰიპოფიზის დისფუნქციით;

1527. ბავშვებში III პარკუჭის წინა-ქველა მიდამოს სიმსივნე იწვევს:

- ა) აფაზიას;
- ბ) ატაქსიას;
- გ) ჰიპოფიზის დისფუნქციას;
- *დ) მხედველობის ველის დეფექტს;

1528. მხედველობის ნერვის გლიომის ინტრაკრანიალურ გავრცელებაზე მიუთითებს შემდეგი რენტგენოლოგიური ცვლილებები:

- ა) ყველა ზეზამთოვლილი;
- ბ) ქალას ძვლების გათხელება;
- გ) თურქული კეხის დეგალების პოროზულობა;
- *დ) მხედველობის ნერვის არხის გაგანიერება;

1529. პონტომელიალური სიმსივნე ბავშვებში უფრო ხშირად ამიანებს ქალა-გვინის ნერვების შემდეგ წყვილებს:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) XI და XII წყვილს;
- გ) I და II წყვილს;
- *დ) VI, და VII წყვილს;

1530. IV პარკუჭის სიმსივნის დროს ბავშვებში უფრო ხშირად მიახლება:

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) XI და XII წყვილი;
- *გ) VIII, და X წყვილი;
- დ) I და II წყვილი;

1531. პონტომელიალური სიმსივნით დაავადებულ ბავშვს ყოველთვის აქვს:

- ა) მენინგეალური სიმპტომები;
- ბ) წყალმანი;
- გ) ატაქსია;
- *დ) ქალა-გვინის ინერვაციის დარღვევა;

1532. კრანოფარინგიომა ბავშვებში ხშირად ვლინდება:

- ა) ატაქსიით;
- ბ) ჰემიპარეზით;
- *გ) სიმალეში ზრდის შეფერხებით;
- დ) აკრომეგალიით;

1533. კრანოფარინგიომა უფრო ხშირად იწვევს:

- ა) სკოტომას;
- ბ) ჰომონიმურ ჰემიანოპსიას;
- *გ) ბიგემპოლარულ ჰემიანოპსიას;
- დ) მხედველობით ჰალუცინაციებს;

1534. რენტგენოლოგიურად კრანოფარინგიომის არსებობაზე მიგვანიშნებს:

- ა) საგიტალური ნაკერის გახსნა;
- ბ) თითისებრი ჩანაჭდეები;
- *გ) პეტრიფიკატი თურქული კეხის მიდამოში;
- დ) ქალას ძვლების გათხელება;

1535. ბავშვებში ჰიპოფიზის სიმსივნის სუპრასელარულ ზრდაზე მიგვანიშნებს:

- ა) ეპისინდრომი;
- ბ) მხედველობის ნერვების დერილების შეშუპება;
- *გ) მხედველობის ველის დარღვევები;
